ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების

მონიტორინგის ანგარიში

სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო / მწვანე კავკასია

SYC

მწვანე კავკასია
Green Caucasus

2019

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ორგანიზაციების „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო”-ს და „მწვანე კავკასია“-ს მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციები „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“ და „მწვანე კავკასია“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI
CSRDG
CTC Empowering People for Change
EDEC

შინაარსი

მონიტორინგის მიზანი 2

მეთოდოლოგია 4

მიზანი 1: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება 6

მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების და მატერიალური აქტივების ეფექტიანი მართვა-გამოყენება 11

მიზანი 3: საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება 14

მიზანი 4: მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა 17

მიზანი 5: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება 21

მიზანი 6: ტურიზმის მრავალმხრივი განვითარება 24

ამოცანა 6.1. პროგრამული და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მომზადება და განხორციელება 25

ამოცანა 6.2. მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება 29

ამოცანა 6.3. ტურისტების მომსახურების დონის გაუმჯობესება 31

მიზანი 7: სოფლის მეურნეობის განვითარება 32

მიზანი 8: რეგიონის ბრენდის შექმნა 35

მიზანი 9: უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 36

მიზანი 10: კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგება 39

მიზანი 11: სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება 41

მიზანი 12: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარება 44

მიზანი 13: ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება 45

მიზანი 14: მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარება და გენდერული უთანასწორობის შემცირება 49

დასკვნა 50

დანართი 1. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული პირების გენდერული მონაცემები 52

დანართი 2. გურიის რეგიონის სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა ჩამოსვლის ადგილისა და მიზნის მიხედვით 2013-2017 წლებში (წყარო: საქსტატი) 53

დანართი 3: გურიის რეგიონის დასახლებები ბუნებრივი აირის მიწოდების გარეშე (2018 წ. დასაწყისითვის) 54

დანართი 4: ა.(ა.)ი.პ. „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო „ გურიის რეგიონში განხორციელებული პროექტები (2014-2017წ.წ.) 57

დანართი 5: შ.პ.ს. „მელიორაცია“ 58

მონიტორინგის მიზანი

2010 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო 2 რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2013 წელს ეს სტრატეგიები განახლდა, ასევე, კიდევ 7 რეგიონისთვისათვის შემუშავდა და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014-21 წლების განვითარების სტრატეგიები.

2014 წელს ყველა რეგიონში მომზადდა რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების 3-წლიანი სამოქმედო გეგმები (2015-2017), რომლებიც სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა მოიწონეს. ამ გეგმებში აისახა როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კონკრეტული პროგრამები, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ ან მათთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ყველა ის პროექტი, რომელსაც გააჩნია რეგიონული ან ადგილობრივი მნიშვნელობა.

სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენენ ის პროექტები, რომლებიც ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ). ამ ფონდის ნაწილის განკარგვა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ხდება. 2013 წლის თებერვალში მთავრობამ დაამტკიცა რგპფ-დან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები, რომლითაც შემოღებულ იქნა შედარებით დემოკრატიული პროცედურა, როდესაც ფონდში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტს ჯერ მუნიციპალიტეტის საკრებულო იწონებს და მხოლოდ ამის შემდეგ აფასებს მის ტექნიკურ მხარეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2015 წლიდან რგპფ-დან მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების აუცილებელი წინაპირობა გახდა მათი ასახვა რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, ხოლო თავად ამ გეგმის შემუშავებისათვის მომზადდა და მთავრობამ მოიწონა სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც გაიწერა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურები. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ ფონდში წარსადგენი საპროექტო წინადადებები ჯერ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან შექმნილ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფებში განიხილება, გადის ფილტრაციას და რანგირებას სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ამით შედარებით გაიზარდა სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ დასახული გეგმების გამჭვირვალობა და გაჩნდა მათ შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები.

„გურიის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1365 განკარგულებით. ამდენად, 2018 წლისთვის გავიდა მისი მოქმედების 8-წლიანი ვადის ნახევარი, ამასთანავე, დასრულდა სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი.

გურიის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა და მონიტორინგი განხორციელდა „მწვანე კავკასია“-ს და „სტუდენტურ-ახალგარდული სათათბირო“-ს პროექტის „გურიის რეგიონის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი”-ს ექსპერტების მიერ, რომელიც მხარდაჭერილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

მეთოდოლოგია

სტრატეგიის თითოეული მიზნისთვის, სადაც ეს შესაძლებელი იყო, შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული მაჩვენებლების მიხედვით. რამდენადაც მონიტორინგის პერიოდი მოიცავს 2014-2017 წლების შუალედს, მაჩვენებლების დინამიკის განსაზღვრისთვის, მოხდა 2017 წლის (საბოლოო) მაჩვენებლების შეფარდება, ძირითადად, 2013 წლის (საწყის) მაჩვენებლებთან.

მიზნის მიღწევის (შედეგების) კრიტერიუმების მიხედვით მაჩვენებლების დინამიკის ქულებით შეფასება:

მონიტორინგის პერიოდის საბოლოო მაჩვენებლის შეფარდება საწყის მაჩვენებელთან, %	**ზრდა/კლება, %-ით**	**ქულა**
მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა, უცვლელი დარჩა ან უმნიშვნელოდ მოიმატა	-5%-დან +5%-მდე	0
მაჩვენებელმა მცირედ მოიმატა	+5 დან +25%-მდე	1
მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა	+25%-დან +50%-მდე	2
მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა	+50%-დან +100% და მეტი	3
მაჩვენებელმა მცირედ დაიკლო	-5 დან -25%-მდე	-1
მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად დაიკლო	-25%-დან -50%-მდე	-2
მაჩვენებელმა მკვეთრად დაიკლო	-50%-დან -100% და მეტი	-3

სტრატეგიის თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულ იქნა მისი შინაარსის შესაბამისი ერთი ან რამდენიმე რაოდენობრივი ან ხარისხობრივი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, საჯარო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია სტრატეგიის ამოცანის შესრულების შეფასება. რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით ქულებით შეფასება, ძირითადად, იგივე პრინციპს ეყრდნობოდა, რაც მიზნის მიღწევის (შედეგების) კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას, ხოლო ხარისხობრივი კრიტერიუმებით შეფასება ხდებოდა 4 ბალიანი სკალით - 0,1,2,3 ქულებით (თითოეული კრიტერიუმის გრადაცია დეტალურად მოცემულია „გურიის რეგიონის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში“, greencaucasus.org.ge-პუბლიკაციები). იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებამ შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია არ გასცა და მისი მოპოვება სხვა ღია წყაროებიდანაც ვერ მოხერხდა, ამოცანის შესრულება შეფასდა 0 ქულით.

მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდეს შემდეგმა საჯარო ინსტიტუციებმა:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაცია
- გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტები: ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტი, გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი);
- სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლებისა ცენტრი
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
- ააიპ პროექტების მართვის სააგენტო
- სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

- სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტო
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
- შპს საქართველოს მელიორაცია
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სტრატეგიის 14 მიზნისა და 114 ამოცანის განხორციელების შესაფასებლად შემუშავებულ იქნა სულ 167 კრიტერიუმი, მ.შ. 34 რაოდენობრივი და 133 ხარისხობრივი, რომელთაც აქვთ 4-საფეხურიანი გრადაცია (-3-დან/0-დან 3 ქულამდე). ამდენად, მონიტორინგის შედეგად დადგენილი სტრატეგიის განხორციელების მთლიანი მაჩვენებლის შესაძლო ამპლიტუდა მერყეობდა -126-დან 693-მდე (ანუ 100%) ქულის ფარგლებში. მონიტორინგის პერიოდში (2014-2017 წლებში) სტრატეგიის თითოეული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებები შეფასდა შესაბამისი მიზნის მიღწევისა და ამოცანების განხორციელების კრიტერიუმების შეფასების მიხედვით მიღებული ქულების ჯამის შეფარდებით შესაძლო მაქსიმალურ ქულასთან, პროცენტებში.

მიზანი 1: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება

შეფასება განხორციელდა ამოცანების შესრულების 2 რაოდენობრივი და 6 ხარისხობრივი კრიტერიუმით, მაქსიმალური ქულა იყო 24 (100%), ხოლო მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა 19 ქულით (80.2%)

<u>ამოცანის შესრულების კრიტერიუმები:</u>

1.1. თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და რესურსული შესაძლებლობების თანდათანობითი გაფართოება.

ამოცანის შესრულება შეფასდა 3 კრიტერიუმით:

ა) მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაფართოება; თვითმმართველობების რესურსული შესაძლებლობების გაფართოების შეფასებისთვის:
ბ) რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ზრდის ტემპების შედარება სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან,
გ) რეგიონის მუნიციპალიტეტების ქონების ზრდის მაჩვენებლები.

მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაფართოება (საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით) შეფასდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ კითხვაზე გაცემული პასუხების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
თვითმმართველობების უფლებამოსილებები და რესურსული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა	3

2014 წელს მიღებული "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" თვითმმართველობებს გადაეცათ რიგი უფლებამოსილებები. მათ შორის:

- წყალმომარაგებისა (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება, რაც 2009 წლიდან ცენტრალური ხელისუფლების, კერძოდ სსიპ "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილებას წარმოადგენდა;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის,
- ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა.[1]

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ზრდის ტემპის შედარება სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან და ქონების ზრდის მაჩვენებლების შეფასება მოხდა მუნიციპალიტეტების მონაცემების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან შესაბამისობაშია (+/- 5 პროცენტ. პუნქტით)	1

[1] ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

თითოეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდის ტემპის შეფასების შემდეგ განხორციელდა მათი საშუალო არითმეტიკული ქულის გამოყვანა, ხოლო შემდეგ გამოითვალა საშუალო მაჩვენებელი მთელი რეგიონისათვის.

წელი	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთი	ლანჩხუთი	ჩოხატაური
2014	15 825 5	9 883 8	13 590 5	11 886 3
2015	17 350 8	12 803 3	17 070 7	11 277 5
2016	19 149 1	13 566 3	17 373 0	13 205 4
2017	18 559 4	12 973 3	16 647 5	12 206 7

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მონიტორინგის პერიოდში ასევე გაიზარდა რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (ათასი ლარი, ფაქტი):

წელი	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთი	ლანჩხუთი	ჩოხატაური
2014	16 859 2	7 909 6	11 3406	11 612 3
2015	18 870 2	13 423 9	19 110 0	10 972 4
2016	16 951 9	12 769 7	17 584 1	13 085 8
2017	19 414 8	13 528 2	13 314 6	10 706 7

რეგიონის თვითმმართველობების ჯამური ქონების ცვლილება შეფასდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების ინფორმაციის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული და სახელმწიფოსგან გადაცემული ქონების აუდიტორული შეფასების ჩაუტარებლობის გამო მუნიციპალიტეტების უმრავლესობას უჭირს არსებული ქონების საბალანსო ღირებულების დადგენა.

შეფასება	ქულა
რეგიონის თვითმმართველობების ჯამური ქონების საბალანსო ღირებულებამ მოიმატა	2

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის
მთლიანი ქონების საბალანსო ღირებულება - ლარი

წელი	ოზურგეთი	ჩოხატაური	ლანჩხუთი
2013	ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული	18 941 9	5 120 680
2014		23 677 1	8 583 560
2015		27 103 8	8 107 846
2016		31 106 5	5 185 810
2017		35 324 7	35 464 749

1.2. რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მონიტორინგის პერიოდში რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა რამდენადმე გაუმჯობესდა (მოხდა ფართის ნაწილის შეკეთება/ახალი აღჭურვილობით შევსება)	2

<u>საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ შეკეთდა როგორც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ასევე მუნიციპალიტეტების</u>
<u>ადმინისტრაციული შენობები, ასევე ადმინისტრაციული ერთეულებში ადმინისტრაციული შენობები, შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.</u>

1.3 სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვისცენტრების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართვას მუნიციპალიტეტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და შეასრულებს დასახლების კულტურული ცენტრის ფუნქციას

სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვის-ცენტრების შექმნის ხელშეწყობა შეფასდა ერთი კრიტერიუმით, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლიდან განხორციელებული პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში რეგიონის მუნიციპალიტეტებში გახსნილი საზოგადოებრივი ცენტრების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობით (საიტი www.centri.gov.ge/).

შეფასება	ქულა
გაიხსნა ახალი საზოგადოებრივი ცენტრები, მაგრამ რაოდენობა არ არის საკმარისი და სხვა პუნქტებში მათი გახსნის საჭიროება კვლავაც მაღალია (საზ. ცენტრები მხოლოდ მოსახლეობის ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი)	1

<u>სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლიდან ახორციელებს პროექტს „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“, რომლის ფარგლებში გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში გაიხსნა 5 საზოგადოებრივი ცენტრი, კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნატანებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კოხნარსა და ხიდისთავში, ქ. ლანჩხუთში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიგოითში</u>

საზოგადოებრივი ცენტრი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში

საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. საზოგადოებრივი ცენტრების მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და შპს მექანიზატორის სერვისებით, ცენტრში ასევე წარმოდგენილი არიან კერძო კომპანიები: „მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“.

1.4 რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მიმდინარეობს რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება	2

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის №1182 განკარგულებით „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციისა და

ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა სწავლების საჭიროებათა განსაზღვრის, სწავლების დაგეგმვისა და ორგანიზების, სწავლების ფორმებისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებით „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ მუნიციპალიტეტებში შეიქმნა ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებისახალი სისტემა. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს მოხელეთა სწავლების საჭიროებების კვლევები და შეიმუშავეს და დაამტკიცეს წლიური სასწავლო გეგმები.

ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან თანამშრომლობით თავად მუნიციპალიტეტების მიერ თანამშრომლებისათვის ჩატარებული ტრენინგების გარდა, მონიტორინგის პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და გურიის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეებს ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსი:

„გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის“ მიერ მუნიციპალიტეტების სამსახურებისათვის ნარჩენების მართვის შესახებ ორგანიზებული სისტემატიური ტრენინგები.

2014 წლიდან დღემდე გადამზადებული იქნა მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით საფინანსო, ინფრასტრუქტურის, ქონების მართვის, აუდიტის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის, ადამიანური რესურსების მართვის სფეროს თანამშრომლები. გადამზადება განხორციელდა შესაბამისი სამინისტროების, საჯარო სამსახურის ბიუროს, CTC-ის მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანხები გათვალისწინებულია ადგილობრივ ბიუჯეტში.

1.5 რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქმედითი სისტემის დანერგვა

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქმედითი სისტემის დანერგვა შეფასდა ერთი კრიტერიუმით, საქსტატის ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
დანერგილია რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების სისტემა დანერგილია რეგიონების და მუნიციპალიტეტების დონეზე	3

საქსტატის ოფიციალურ საიტზე ქვეყნდება რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. (https://www.geostat.ge/ka)

1.6 რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განხორციელებაზე ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა

ფასდება ერთი კრიტერიუმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ შემუშავებულა, სამუშაო რეჟიმში მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი	1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, გურიის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე სამინისტრო სისტემატიურად ახორციელებს მონიტორინგს (მაგალითად, ადგილზე დათვალიერების გზით). ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობიდან გამომდინარე, მონიტორინგი ხორციელდებოდა სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, მონიტორინგს ექვემდებარება პროექტები, რომლებიც ვადის დარღვევით მიმდინარეობს ან რომლებიც განიცდიან სხვადასხვა სახის ცვლილებას. გურიის რეგიონში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პროექტის მონიტორინგი, რომელშიც ჩართულები არიან როგორც სამინისტროს, ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტების და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების და მატერიალური აქტივების ეფექტიანი მართვა-გამოყენება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 10 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 39 (100%), ხოლო შეფასების შედეგად მივიღეთ მხოლოდ 10 ქულა (27.1 %)

<u>მიზნის მიღწევის შეფასებისთვის</u> მონაცემების აღება განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %
ინვესტიციები სამთომოპოვებით მრეწველობაში (NACE rev.1), მლნ.ლარი	0.0	0.1	+ 10 %
სამთომოპოვებით მრეწველობაში (NACE rev.1) წარმოებული დამატებითი ღირებულება, მლნ.ლარი	1.7	3.5	+ 50%
სამთომოპოვებით მრეწველობაში (NACE rev.1) საწარმოთა ბრუნვა, მლნ.ლარი	3.2	5.2	+ 48.8%



ამოცანების შესრულება

2.1. რეგიონში ამ დრომდე შეუსწავლელი რესურსული პოტენციალის შესწავლა და შეფასება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
გურიის რეგიონის რესურსული პოტენციალი სრულად არის შესწავლილი და შეფასებული	2

2.2. რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების, წიაღისეულის, მათი მარაგების, ასევე სხვა ეკონომიკური აქტივების (მიწა, ქონება) შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზის განახლება, მათი შესაბამისი აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
არსებობს და პერიოდულად ახლდება რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების, წიაღისეულის, მათი მარაგების, ასევე სხვა ეკონომიკური აქტივების (მიწა, ქონება) საინფორმაციო ბაზა, პერმანენტულად ხდება წიაღისეულის, მათი მარაგების, ასევე სხვა ეკონომიკური აქტივების (მიწა, ქონება) აღრიცხვა, სისტემატიზაცია	3

<u>მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასარგებლო წიაღისეულის საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება არ წარმოადგენს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ფუნქციას.</u>

2.3. **მცირე ჰესების კასკადების მშენებლობის ხელშეწყობა, რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი საშიშროების რისკის გათვალისწინებით**

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში დაპროექტდა მცირე ჰესები, რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი საშიშროების რისკის გათვალისწინებით , რის შემდეგაც დაიწყო დაიწყო მცირე ჰესების კასკადების მშენებლობა	3

2.4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქარის ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქარის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა არ მომხდარა	0

2.5. მზის ენერგიის, ბიოგაზის, ბიომასის და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის ქმედითი გამოყენების ხელშეწყობა

მონიტორინგის პერიოდში გატარებული ღონისძიებების შეფასება განხორციელდა ორი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამწუხაროდ, აღნიშნულ ამოცანასთან მიმართებაში ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული	0

2.6. **ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვა და ხელშეწყობა**

მონიტორინგის პერიოდში ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობისათვის გატარებული ღონისძიებების შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უხლოესი ტექნოლოგიების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებები 2014–17 წლებში არ გატარებულია.	0

<u>ამჟამად მიმდინარეობს წიაღის სექტორში ფართომასშტაბიანი რეფორმა, შემუშავებულია წიაღის სექტორის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა. (იხ. Facebook გვერდზე წიაღის ეროვნული სააგენტო / National Agency of Mines)</u>

2.7. **ტყის მართვის სტრატეგიის შემუშავება და ქმედითი განხორციელების უზრუნველყოფა; სატყეო ინფრასტრუქტურის შექმნა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ტყის რესურსების შესანარჩუნებლად; ტყის რესურსების სრული ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა**

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში გატარებული ღონისძიებების შეფასება ვერ მოხერხდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო.	0

მიზანი 3: საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება

შეფასება განხორციელდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 6 რაოდენობრივი, ასევე, ამოცანის შესრულების 3 რაოდენობრივი და 8 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 51 (100%), ხოლო მონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების შეფასებით მივიღეთ 15 ქულა (30%)

<u>მიზნის მიღწევის კრიტერიუმები:</u>

მონაცემების აღება განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %
ინვესტიციები მშენებლობაში (NACE rev.1.1), მლნ.ლარი	0.0	1.2	+10,2%
მშენებლობაში (NACE rev.1.1) დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	6.4	33.2	+ 80,3%
მშენებლობაში (NACE rev.1.1) ბრუნვის მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	16.0	73.4	+ 79%
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	6.1	0.1	-100%
დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში	1.8	1.9	+ 10%
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	3.8	4.3	+ 46%





<u>ამოცანის შესრულების კრიტერიუმები:</u>

3.1. გურიის რეგიონის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დაგეგმარება; ამ კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და დონორი ორგანიზაციების კოორდინებული საქმიანობის უზრუნველყოფა

შეფასება განხორციელდა 2 კრიტერიუმით: რეგიონის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შეფასება მოხდა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ქალაქდაგეგმარებისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სისტემურად ჩამოყალიბებული დოკუმენტების მომზადების პროცესის შეფასება - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
დამტკიცებულია დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები, მიღებულია ერთ-ერთი შემდეგი 2 დოკუმენტიდან მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა	2

3.2 რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურის (სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზები, მათ შორის შიდა სასოფლო, კურორტებამდე და საკურორტე ადგილებამდე მიმავალი გზები) შემდგომი რეაბილიტაცია, მისი პრიორიტეტული ნაწილის ასფალტის ან ბეტონის საფარით სრული დაფარვა და რეგულარული მოვლის უზრუნველყოფა; ამ კუთხით, მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შეფასება სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ნაწილში განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისა - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურის (საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები) არარეაბილიტირებული ნაწილის 50%-ზე მეტის რეაბილიტაცია 2014 წლის დასაწყისისთვის	3

გურიის რეგიონში საავტომობილო გზების სიგრძე (წლის ბოლოსათვის, კმ)

	2013	2014	2015	2016
სულ	881.0	884.5	884.4	888.7
მ.შ. საერთაშორისო მნიშვნელობის	61.6	63.8	63.8	68.1
მ.შ. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის	219.2	220.6	220.6	220.6

3.3. შიდა სატრანსპორტო მოძრაობის სტანდარტიზება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან რეგიონის ყველა დასახლებულ ტერიტორიასთან მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფა

შეფასება განხორციელდა 1 კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
დაწყებულია შიდა სატრანსპორტო მოძრაობის სტანდარტიზება და მოწესრიგება, სამგზავრო გადაყვანები რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალური ცენტრებიდანრეგიონის დასახლებების მცირე ნაწილთან	2

3.4. **მუნიციპალური ცენტრების ქუჩების მოასფალტების დასრულება**

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მოასფალტებული იქნა მუნიციპალური ცენტრების ქუჩების უმეტესი ნაწილი	2

3.5. გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულება მთელი რეგიონის მასშტაბით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროდან, ასევე, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2018 წლისთვის რეგიონის მაშტაბით გაზიფიკაციის გარეშე დარჩენილია დასახლებების 25-49%	2

3.6. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ყოფილი სამხედრო აეროდრომის ბაზაზე) გრძელვადიან პერსპექტივაში აეროპორტის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესწავლა**

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, სამხარეო ადმინისტრაციიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროდან, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ყოფილი სამხედრო აეროდრომის ბაზაზე) გრძელვადიან პერსპექტივაში აეროპორტის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესასწავლად დაიგეგმა ღონისძიებები/კვლევა	1

<u>2016 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და ჩინურ კომპანია- “ZEUSTAR COMSTRUCTION HOLDINGS” CO.
LTD შორის გაფორმდა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გრძელვადიან პერიოდში გულისხმობს აეროპორტის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და შესაზლებლობის შესწავლას, შემდგომში მისი აღდგენის მიზნით.</u>

3.7. **მხარის მუნიციპალიტეტებში ვერტმფრენის დასაჯდომი პლაცების მოწყობის ხელშეწყობა**

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, სამხარეო ადმინისტრაციიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროდან, ასევე, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტში ვერტმფრენის დასაჯდომი პლაცების მოწყობის ღონისძიებები არ გატარებულა	0

3.8. ურბანული ინფრასტუქტურის განვითარება; მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს რეგულირების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

შეფასება ხდება ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით..

შეფასება	ქულა
განხორციელდა მიმდინარე შეკეთების სამუშაოები მუნიციპალური ცენტრის ინფრასტრუქტურული იერსახის გასაუმჯობესლად	1

3.9. **მხარის ყველა ტერიტორიულ ორგანოში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ინტერნეტ კაფეების მოწყობის ხელშეწყობა**

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2018 წლისთვის მხარის ტერიტორიული ორგანოების უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილია ინტერნეტით, მიმდინარეობს ღონიძიებები ინტერნეტ კაფეების მოწყობის მიზნით	2

<u>2018 წლისთვის კერძო კომპანიების მიერ ინტერნეტით მოცულია მუნიციპალიტეტების ტერიტორიის დაახლოებით 70%.</u>

მიზანი 4: მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 13 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 48 (100%), სამიზნე უწყებებიდან გამოთხოვილი და მიღებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე მივიღეთ 16 ქულა (35 %)

მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის გათვალისწინებით.



კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %
დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	2.6	17.4	+80.3%
დამამუშავებელ მრეწველობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	30.5	55.8	+ 44.9%
დამამუშავებელ მრეწველობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	83.2	132.5	+ 37.2%

4.1. გურიაში არსებული ეკოლოგიურად სუფთა რესურსის გამოყენებისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა - ხილის ნატურალური წვენების, ჯემების, ჩირის დამზადების წახალისებით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, პროგრამიდან „აწარმოე საქართველოში“, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში გურიაში არსებული ეკოლოგიურად სუფთა რესურსის და საკონსერვო მრეწველობის საწარმოებში განხორციელებულია ინვესტიციები, მიმდინარეობს ბიზნეს-პროექტების განხორციელება	2

- ✓ 2014-2017 წლებში, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებით ჩოხატაურსა და ოზურგეთში გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი ქარხანა. (1.შპს ექსპერიმენტული ჩაის ჩაის ფაბრიკა- ხილის გადამუშავება; 2. კტვ-აგრო ჩოხატაური- ხილის გადამუშავება) გაიხსნა საწარმო ოზურგეთში სოფ. დვაბზუში - ჩაის გადამამუშავებელი საწარმო;
- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სს „წყალი მარგებელი“-ის მიერ, შვეიცარიელ და ავსტრიელ ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან და EBRD-თან ერთად განხორციელდა ახალი ქარხნის მშენებლობა. პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 30 000 000 ევროა. ''წყალი მარგებელის'' ქარხანა რეგიონში უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი პირველი უნივერსალური საწარმოა, რომელიც გერმანული და შვეიცარული ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისად აშენდა "ნაბეღლავის" და "ბახმაროს" გარდა, საწარმოში სხვადასხვა სახეობის უალკოჰოლო სასმელიც მზადდება;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაძლიერდა 10 მცირე საწარმო.

4.2. ეკოლოგიურად სუფთა რესურსის, მტკნარი და მინერალური წყლების დიდი მარაგის გათვალისწინებით, ისეთი დარგების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა, როგორიცაა უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ჩამოსხმა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, პროგრამიდან „აწარმოე საქართველოში“, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ჩამომსხმელ საწარმოებში ინვესტიციები არის ჩადებული, მიმდინარეობს ბიზნეს-პროექტების განხორციელება	2

აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაბეღლავში 2017 წლიდან „წყალი მარგებელ“-მა ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელ კომპანია „რაუხთან“ ერთობლივი წარმოება დაიწყო. 2017 წლის 24 ივნისს ახალი, მრავალპროფილური უალკოჰოლო სასმელების ხაზი

გამოუშვა. ამ ქარხანაში „წყალი მარგებელი“ აწარმოებს, როგორც მინერალურ წყალ „ნაბეღლავსა“ და წყაროს წყალ „ბახმაროს“, ასევე „რაუხის“ წვენებს, ცივ ჩაის, ლიმონათსა და სხვა უალკოჰოლო სასმელს. „რაუხისა“ და „წყალი მარგებლის“ თანამშრომლობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ექსპორტის ზრდასა და ეკონომიკურ წინსვლაში.

4.3. თხილის წარმოებისა და მისი გასაღების ბაზრების შემდგომი გაფართოების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
აღნიშნულ ამოცანასთან მიმართებაში ინფრომაცი აარ იქნა მოწოდებული	0

4.4 ასკანის თიხის რეგიონში გადამუშავებისა და მისი საექსპორტო პროდუქციად ქცევის ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ. წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ასკანის თიხის წარმოებისა და მისი გასაღების ბაზრების შემდომი გაფართოების მიზნით 2014–17 წლებში დაიგეგმა ღონისძიებები, თიხის მოპოვებაზე გაიცა ლიცენზიები	2

4.5 რეგიონში არსებული ტუფისა და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალის, კაოლინის, სიენიტების, წითელი რკინის, აპატიტისა და მინერალური საღებავების მოპოვების და მათი გამოყენება-გადამუშავების ხელშეწყობა; სამშენებლო მასალების (აგური, ბლოკი), მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების წარმოების სტიმულირების მიზნით, შესაბამისი საინვესტიციო პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში არსებული ტუფისა და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალის, კაოლინის, სიენიტების, წითელი რკინის, აპატიტისა და მინერალური საღებავების მოპოვების და მათი გამოყენება-გადამუშავების მიზნით 2014-2017 წლებში მომზადდა 1 ან მეტი საინვესტიციო პროექტი	1

4.6 სამშენებლო მასალების (აგური, ბლოკი), მოსაპირკეთებელი ქვებისა და ფილების წარმოების სტიმულირების მიზნით, შესაბამისი საინვესტიციო პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე საჯარო უწყებიდან ვერ მივიღეთ ინფორმაცია	0

4.7 ხის წარმოების განვითარების, ხე-მასალის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნისა და შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ეროვნული სატყეო სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს ინფორმაცია	0

4.8 რეგიონში წარმოებული პროდუქციის (სახეების მიხედვით) შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქსტატიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში დაიგეგმა ღონისძიებები მხარეში წარმოებული პროდუქციის (სახეების მიხედვით) სანდო სტატისტიკის საწარმოებლად	1

4.9 მრეწველობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტრანსფერისა და დანერგვის მხარდაჭერა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე ინსტიტუციებმა ვერ მოგვაწოდეს მოთხოვნილი ინფორმაცია	0

4.10 რეგიონში ლიზინგის პრაქტიკის აქტიური გამოყენების წახალისება და ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ვერ მოგვაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.	0

4.11 მხარის მუნიციპალიტეტებში შრომის, მცირე და საოჯახო ბიზნესის ტექნოლოგიების გამოფენა-ბაზრობის (ექსპოცენტრი) შექმნის და ორგანიზების ხელშეწყობა; გამოფენა-ბაზრობის ტიპიური ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნციონირების მექანიზმების განსაზღვრა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში რეგიონის ერთ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეიქმნა საპილოტე გამოფენა- ბაზრობა (ექსპოცენტრი)	2

<u>2016 წელს ოზურგეთში ემპარდის პროგრამის ფარგლებში მოეწყო, ემპარდის პროგრამით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაფინანსებული კოოპერატივების ნაწარმის გამოფენა - გაყიდვა. ასევე, რეგიონის მუნიციპალიტეტებში, სხვადასხვა სახალხო დღესასწაულებზე იმართება ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა გაყიდვა.</u>

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %
მონიტორინგის პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოებში ინვესტიციების მოცულობის დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში), მლნ. ლარი	3.8	1.8	-52.7%

4.12 ადგილობრივ ინოვატორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიება, აღრიცხვა და გამოვლენა; მონაცემთა სპეციალური ბაზის შექმნა და გავრცელება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე უწყებებმა ინფორმაცია ვერ მოგვაწოდეს	0

4.13 რეგიონში სამრეწველო ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში არ ხდებოდა რეგიონში სამრეწველო ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია	0

მიზანი 5: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

შეფასება განხორციელდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 1 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 9 კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 30 (100%), მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 15 -ს (50%).

მონაცემები აღებული იქნა ხდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით, მლნ. ლარი (საწარმოთა ზომის ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით)					
	2013	2014	2015	2016	2017
--52.7გურია	12.5	12.5	9.1	9.5	18.2
მსხვილი საწარმო	10.5	8.7	1.6	5.1	12.7
საშუალო საწარმო	0.1	0.8	5.6	3.8	3.3
მცირე საწარმო	1.9	3.0	2.0	0.6	2.3

5.1. მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების პერიოდული კვლევების განხორციელება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
პერიოდულად (ყოველწლიურად/ ყოველ 2 წელიწადში) ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების კვლევების მომზადება და გავრცელება	3

5.2. ბიზნეს-განათლების და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური პროგრამების საშუალებით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ნაწილობრივ ამოქმედდა სპეციალური პროგრამები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდის, ბიზნეს განათლებისა და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით;	2

5.3. შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის მხარდაჭერა; რეგიონის მუნიციპალიტეტებში პროფესიული გადამზადების ცენტრების და ბიზნეს ინკუბატორების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა

შეფასება ხდება ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების ცენტრები და ბიზნეს ინკუბატორები	3

<u>საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა რეგიონში არსებული საჭიროებები, რის შემდეგაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას დაემატა რიგი პროგრამები (მაგ: ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმეთულების პროგრამა) ამასთან ერთად პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა რეგიონში არსებული საგანმანათელბლო დაწესებულების ორი ფილიალის განვითარება ჩოხატაურსა და გორაბერეჟოულში (იხ. პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში 2017-2018 http://mes.gov.ge/content.php?id=8806&lang=geo</u>

5.4 ოზურგეთში არსებული გადამზადების ცენტრის საქმიანობის ოპტიმიზაცია; მუნიციპალიტეტისა და მთლიანად რეგიონის რეალურ საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით, გადამზადების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ოზურგეთში არსებული გადამზადების ცენტრის საქმიანობა სრულად იქნა ოპტიმიზირებული; პროფესიული განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტისა და მთლიანად რეგიონის საჭიროებების შესწავლისა და გადამზადების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირების შედეგები აისახა სამინისტროს გეგმებში (პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია, ბიუჯეტი და მისთ.)	3

<u>შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საპასუხოდ 2014 წლიდან დაიწყო პრეოფესიული საანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც კომპეტენციებზე დაფუნებული, მოდულურ-პროფესიული პროგრამების შემუშავებას და დანერგვას</u>

გულისხმობდა. პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირებისა და ჩარჩო დოკუმენტების (საგანმანათლებლო სტანდარტები) შემუშავების პროცესში ჩაერთნენ დამსაქმებლები, დარგობრივი ასოციეაციების/კავშირების წარმომადგენლები. პროფესიული განათლების სისტემაში არსებული საგნობრივი პროექტები ეტაპობრივად ჩანაცვლდა მოდულური პროგრამებით. შესაბამისად, კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროგრამები სრულად არის მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნების საჭიროებებზე.

ზემოხსენებული 2 ფილიალის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა რეგიონის საჭიროებების, მათ შორის კერძო სექტორის საჭიროებების შესწავლა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მშენებლობისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები (იხ: http://mes.gov.ge/content.php?id=8806&lang=geo)

5.5. ადგილობრივი ბიზნესებისთვის საინფორმაციო და კონსალტინგური დახმარების უზრუნველყოფა ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, მარკეტინგული კვლევის უახლესი მეთოდოლოგიებისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ადგილობრივი ბიზნესების ცალკეულ სექტორებს 2014-2017 წლებში მიეწოდებოდა საინფორმაციო და კონსალტინგური დახმარება ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, მარკეტინგული კვლევის უახლესი მეთოდოლოგიებისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ	2

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ და საქართველოს საპარტნიორო ფონდმა, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ,,სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში, პროგრამის პრეზენტაციის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები გამართა დედაქალაქსა და რეგიონებში (ახალციხეში, ახალქალაქში, მცხეთაში, გორში, თელავში, რუსთავში, მარნეულში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ამბროლაურში).

5.6. ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებაში

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ტარდებოდა ღონისძიებები ადგილობრივი ბიზნესების საინვესტიციო პროექტების მომზადებაში მხარდასაჭერად	1

5.7. რეგიონში მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების წახალისება და ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მოთხოვნილი ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული	0

5.8. რეგიონის მუნიციპალურ ცენტრებში თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ორი კრიტერიუმით, ცალკე - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებ-გვერდისა ცალკე - ვებ-გვერდების მიხედვით, მუნიციპალიტეტებისათვის ამ პარამეტრით მიკუთვნებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
მუნიციპალურ ცენტრებში სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2014-2017 წლებში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

მიზანი 6: ტურიზმის მრავალმხრივი განვითარება

შეფასება განხორციელდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 7 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 28 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 105 (100%), მიღებული შეფასებების დაჯამების შედეგად მღებული იქნა 42 ქულა (40.1%)

მონაცემები აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კრიტერიუმი	2015	2017	ზრდა/კლება, %
შიდა ტურიზმი: 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის დინამიკა	21.6	26.0	+ 17%
უცხოელი ტურისტები; 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის დინამიკა	25.6	30.4	+16%

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %
ტურუსტების განთავსების ობიექტებშის საწოლი ადგილების რაოდენობის დინამიკა	2805	4564	+38.5%
სტუმართა რაოდენობა გურიის რეგიონის სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში, პერსონა [2]	21732	50213	+56.7%

შიდა ტურიზმი: 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, საშუალოდ თვეში, ათასი												
რეგიონი	**წლიური, 2015**				**წლიური, 2016**				**წლიური, 2017**			
	ვიზიტორების რ-ბა	**%**	**ვიზიტების რ-ბა**	**%**	**ვიზიტორების რ-ბა**	**%**	**ვიზიტების რ-ბა**	**%**	**ვიზიტორების რ-ბა**	**%**	**ვიზიტების რ-ბა**	**%**
გურია	**21.6**	**2.57**	**25.6**	**2.48**	**25.7**	**2.93**	**30.9**	**2.85**	**26.0**	**3.00**	**30.4**	**2.87**
სულ საქართველო	840.3	100	1034.1	100	877	100	1085.9	100	867.5	100	1057.9	100

წყარო: საქსტატი

გურია	განთავსების ობიექტების რაოდენობა	საწოლი ადგილები
2013	55	2805

2014	56	2998
2015		
2016	67	3101
2017	107	4564

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %
სასტუმროებისა და რესტორნების ინვესტიციების დინამიკა ფიქსირებულ აქტივებში, მლნ.ლარი	1.6	0.4	- 75
სასტუმროებისა და რესტორნების დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	4.3	7.5	+47.4
სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	7.3	15.0	+ 51.4



ამოცანა 6.1. პროგრამული და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მომზადება და განხორციელება

6.1.1. ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების (ინფრასტრუქტურა, კადრები, წარმოება, მომსახურება, კლასტერიზაცია, და სხვ.) სათანადო შესწავლა და გამოკვეთა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები ნაწილობრივ არის შესწავლილი	2

6.1.2 ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამების, ისევე როგორც მთლიანად რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (რომელიც განსაზღვრავს და დააკონკრეტებს ამ სფეროს

განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და საქმიანობებს და უზრუნველყოფს სფეროს გრძელვადიან, ეკოლოგიურად გონივრულ და კონკურენტუნარიან განვითარებას)

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
შემუშავებულია ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამები (არსებობს დოკუმენტის პროექტის სახით)	2

<u>პროექტის ,,მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" ფარგლებში შეიქმნა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია 2 წლიანი სამოქმედო გეგმა ტურიზმის განვითარებისათვის 2018- 2019 წლებში (მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმა).</u>
<u>პროექტის ,,მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" ფარგლებში შეიქმნა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია რეგიონის პრიორიტეტული მიმართულებები. მინიციპალიტეტებს შემუშავებული აქვთ, ტურისზმის განვითარების სამოქმედო გეგმა, ასევე თითოეულ მუნიციპალიტეტს შედგენილი აქვს ტურისტული მარშრუტები, ოზურეგეთის მუნიციპალიტეტში დაემატა ახალი ტურისტული მარშრუტი - „ჩაის გზა“, რომელიც ითვალისწინებს ჩაის მცირე საწარმოების დათვალიერება დეგუსტაციას.</u>

6.1.3 ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,

შეფასება	ქულა
2014-2018 წლებში რეგიონში განვითარდა ტურიზმის სხვადასხვა სახეები, სისტემატიურად მიმდინარეობს ღონისძიებები მათი პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.	3

<u>2014-2017 წლებში ტურიზმის პოპულაზიზაციის მიზნით რეგიონში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რეგიონის მუნიციპალიტეტები აქტიურად მონაწილეობდნეს სხვადასხვა გამოფენებში, მაგ; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განვითარდა ღვინის ტური, რომელიც გულისხმობს ღვინის მარნების დათვალიერებას და ღვინის დაგემოვნებას. ასევე 2015 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. გომში ყოველწლიურად ტარდება „კაიაკინგის“ ჩემპიონატი, რომელიც ხელს უწყობს ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას. 2018 წელს, პირველად ბახმაროში, ჩატარდა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი Sunset Bakhmaro ”. დაემატა ახალი ტურისტული მარშრუტი - ჩაის გზა.</u>
<u>მუნიციპალიტეტები სისტემატიურად მონაწილეობენ გამოფენაში - ‘ Expo Georgia”, წელს პირველად ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმში გამართულ გამოფენაში - “Expo Batumi 2019”.</u>

6.1.4 რეგიონის ჭრილში, ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა-განახლება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა

ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა და აღრიცხვა ხდება რეგიონის ჭრილში, შექმნილია შესაბამისი მონაცემთა ბაზა რეგიონის დონეზე	3

<u>შექმნილია მონაცემთა ერთიანი ბაზა მუნიციპალიტეტში ტურისტულად მიმზიდველი ობიექტების, ფოტომასალებითა და მოკლე დახასიათებით. მიმდინარეობს მუშაობა სრულყოფილი ბაზის შექმნის მიზნით.</u>
<u>პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" ფარგლებში, შემუშავებულ იქნა გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რომლის ფარგლებში აღწერილი და დასურათებული იქნა გურიის რეგიონში შემავალი, ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი თუ ტურისტული ინფრატრუქტურა, რომელთაც თან ახლავს მოკლე დახასიათება. პერიოდულად ხორციელდება ტურისტული პოტენციალის შესწავლა და ახალი ლოკაციების დამატება.</u>
<u>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნასაკირალში დაიწყო კურორტ ნასაკირალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კომპანია „გამა კონსალტინგის“ მიერ მომზადდა ჰიდროგეოლოგიური დასკვნა, ჩატარდა ჭაბურღილების გაწმენდითი სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდა - საინვესტიციო გეგმა.</u>

6.1.5 ტურიზმის უფრო ეფექტური მართვისათვის, შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან და პროგრამიდან „აწარმოე საქართველოში“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე უწყებებმა ინფორმაცია ვერ მოგვაწოდეს	0

6.1.6 ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც შესაბამისი პოლიტიკის შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ადგილობრივი ხელისუფლება ტურიზმის პოლიტიკის შექმნისას ითვალისწინებს მოსახლეობის/ცალკეული მოქალაქეების აზრს ან/და გამოკითხვის შედეგებს	1

6.1.7 მზა საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება ინვესტორებისთვის

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სამიზნე უწყებებმა ინფრომაცია ვერ მოგვაწოდეს	0

6.1.8 ტურისტული სააგენტოების, შესაბამისი კადრების და რეგიონში ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა სამი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ იქნა მოწოდებული	0

6.1.9 საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუტურის მოწესრიგება; ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია და მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება

შეფასება განხორციელდა 2 კრიტერიუმით; პირველი - მუნიციპალიტეტებიდან და საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; მეორე - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლეში ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების მცირე ნაწილის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილია, დაიწყო პროცედურები, მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების მიზნით	1

6.1.10 მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გზებზე ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნების დამონტაჟება; მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფების მოწყობა

შეფასება განხორციელდა 2 კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლეში ქალაქების, სოფლების, გზებისა და მაგისტრალ-ტრასების მცირე ნაწილზე დამონტაჟებულია ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნები, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშები და აბრები ქართულ და ინგლისურ ენებზე	1

6.1.11 ტურისტთა დაბინავების ადგილებისა და კვების ობიექტების (მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობის წახალისება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ტურისტთა დაბინავების ადგილები და კვების ობიექტების (მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების) მცირე ნაწილი 2014-17 წლებში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად	1

6.1.12 კემპინგის პუნქტების შექმნის ხელშეწყობა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში კემპინგის პუნქტები მოწყობილია რეგიონის მუციპალიტეტების უმეტეს ნაწილში	2

6.1.13 საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მოწყობილია საზოგადოებრივი საპირფარეშოები ცალკეული ტურისტული ობიექტის სიახლოვეს	1

ამოცანა 6.2. მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება

6.2.1. ტურისტული მარშრუტების შექმნა-განახლება რელიეფისა და ადგილმდებარეობის თავისებურების გათვალისწინებით; კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, აგრო, ეკო, სპორტული და სხვა ტურების ორგანიზების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
რელიეფისა და ადგილმდებარეობის თავისებურების გათვალისწინებით ტურისტული მარშრუტების შექმნა/განახლების მიმართულებით, ასევე კულტურული სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, აგრო, ეკო, სპორტული და სხვა ტურების ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით 2014-2017 წლებში ჩატარდა კვლევები და დაიგეგმა ღონისძებები	1

6.2.2. სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარების ორგანიზება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მუნიციპალიტეტი რეგულარულად ატარებდა სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციულ სპორტულ დღესასწაულებს, შეჯიბრებებს, ფოლკლორულ ფესტივალებს, და ა.შ ტურისტების მოზიდვის მიზნით	3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგულარულად ტარდებოდა სხვადასხვა სახის და მაშტაბის ტრადიციული ღონიძიება ტურისტების მოსაზიდად, განსაკუთრებული დაინტერესების საგანია: კალანდობა, ალეგრობა, გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის ფესტივალი და სხვ.

6.2.3. ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ჩატარდა ცალკეული ღონისძიებები ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციისა და მათი რეკლამირებისათვის	2

6.2.4. სარეკლამო-საინფორმაციო სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული	0

6.2.5. რუკების, გზამკვლევების, ბროშურების და სარეკლამო რგოლების მომზადება და გავრცელება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით მხოლოდ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით. სამჭუხაროდ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან ინფრომაცია ვერ მივიღეთ

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ჩატარდა ცალკეული ღონისძიებები ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციისა და მათი რეკლამირებისათვის	3

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ,,მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" ფარგლებში გამოიცა და გავრცელდა სხვადასხვა სახის გზამკვლევი და პრომშურა გურიის მთელი რეგიონისთვის

6.2.6. ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოების განვითარების ხელშეწყობა სპეციალური პროგრამებით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-დან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმის და სუვენირების წარმოების ხელშეწყობის მიზნით 2014-2017 წლებში ამოქმედდა სპეციალური პროგრამები/ გაიცა გრანტები ან კრედიტები	2

პროგრამის“ აწარმოე საქართველოში“ და ასევე ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის" საგრანტო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულად ოზურგეთში დაფინანსდა რამდენიმე მწარმოებელი ტრადიციული ნაწარმის და სუვენირების წარმოების ხელშესაწყობად.

6.2.7. ტურისტული გამოფენების მოწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მხოლოდ საქარმუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სამწუხაროდ, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ინფრომაცია ვერ მოგვაწოდა.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში რეგიონში მოწყობილ იქნა ერთი ან რამდენიმე ტურისტული გამოფენა	2

6.2.8. ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების მოძიება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მხოლოდ საქარმუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სამწუხაროდ, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ინფრომაცია ვერ მოგვაწოდა.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მიმდინარეობდა სამუშაოები ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების გამოვლენის მიზნით	2

ამოცანა 6.3. ტურისტების მომსახურების დონის გაუმჯობესება

6.3.1. ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება; ტრენინგების ჩატარების ორგანიზება-მხარდაჭერა სფეროში დასაქმებული კადრებისთვის

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული	0

6.3.2. ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; საუკეთესო ტურისტული ობიექტების, მომსახურების მიმწოდებლების, მენეჯერებისა და პერსონალის გამოვლენა და დაჯილდოება.

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით.

შეფასება	ქულა
საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ინფორმაცია ვერ მოგვაწოდა	0

6.3.3 რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში დამატებითი ბანკომატების განთავსების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში საკმარისი რაოდენობით განთავსებულია 2-ზე მეტი ბანკის ბანკომატები	2

6.3.4. ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ამ კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საბანკო სექტორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობებსა და საბანკო სექტორის შორის შედგა შეხვედრები	1

მიზანი 7: სოფლის მეურნეობის განვითარება

შეფასება განხორციელდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 8 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 33 (100%), მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად ქულების რაოდენობაა 16 (50%)

მონაცემები აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში), მლნ.ლარი	1.5	0.0	-100
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	0.7	2.0	+ 65
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა, მლნ.ლარი	1.4	2.7	+48.5



საფუძველზე.

7.1. სპეციალური ფონდის ფორმირება, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების, ბიზნესპროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით, უზრუნველყოფს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების (განსაკუთრებით თხილის, ციტრუსისა და ლურჯი მოცვის წარმოების), საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების განვითარებას, მიმღები პუნქტებისა და გადანაწილების ცენტრის ორგანიზებას და ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ამოქმედებულია სპეციალური ფონდი, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების, ბიზნესპროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით, უზრუნველყოფს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების (განსაკუთრებით თხილის, ციტრუსისა და ლურჯი მოცვის წარმოების), საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების განვითარებას, ფართოდ გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემები	3

<u>ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ მიერ გურიის რეგიონში განხორციელდა შემდეგი პროექტები/პროგრამები (მათ შორის, რეგიონის პრიორიტეტული სფეროების: თხილის, ციტრუსის და ლურჯი მოცვის წარმოების): „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, სახელმწიფო პროგრამა დანერგე მომავალი“, „აგროდაზღვევის პროგრამა“, „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. (იხილეთ დანართი - გურიის რეგიონში განხორციელებული პროექტები/პროგრამები).</u>

7.2. ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარების, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში საკმარისი რაოდენობით შექმნილია ექსტენციისა და მომსახურების ცენტრები, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ტარდება საინფორმაციო კამპანიები	3

<u>გურიის რეგიონში საკმარისი რაოდენობით შექმნილია საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები. ფუნქციონირებს იმერეთის რეგიონული სამსახური (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) და ლანჩხუთისა და ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები. ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით აღნიშნული ცენტრების მიერ მოსახლეობაში მიმდინარეობს საკონსულტაციო მომსახურება, როგორც აგრარული მიმართულებით, ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების შესახებ. ვრცელდება საინფორმაციო ბროშურები, ბუკლეტები, ვიდეო მასალები სხვადასხვა დარგების შესახებ.)</u>

2016 წელს ცენტრმა გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩაატარა ორდღიანი ლექცია-სემინარი თხილის მოვლა-მოყვანის, კულტურის ინტეგრირებული დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებზე;
2017 წელს გურიის რეგიონის 9 სოფელში განხორციელდა მობილური ექსტენცია;
თემები: მცენარეთა დაცვა, მეთხილეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა;
ამავე წელს:

- დარიგებულია 33 დასახელების თემატური ბროშურა;
- დარიგებულია მცენარეთა დაცვის ფენოკალენდარული სქემები (თხილი);
- გაწეულია სატელეფონო და ონლაინ რეჟიმში სარეკომენდაციო მომსახურეობა (100-მდე);
- სახელმწიფო პროგრამის „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები ფერმერებისთვის თხილის მოვლა-მოყვანის სრული ციკლისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ (50-მდე);

2018 წელს:
გურიის რეგიონში - ჩოხატარურის, ოზურგეთის, ლანჩუთის მუნიციპალიტეტების 15 სოფელში (ქვენობანი, გოგოლესუბანი, ერკეთი, ბუკისციხე, მთისპირი, მაკვანეთი, მელექედური, ნატანები, შეკვეთილი, წვერმაღალა, ბაილეთი, ჯუმათი, ლესა, ჩიბათი, შუხუთი) განხორციელდა მობილური ექსტენციები თემებზე - მცენარეთა დაცვა, მეთხილეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა- მეღვინეობა; გადამზადდა 500-მდე ფერმერი.

7.3. ადგილობრივი საჭიროებების სრულად დასაკმაყოფილებლად, მექანიზაციის ცენტრის დამატებითი ტექნიკით, მ.შ. მცირეგაბარიტიანი ტექნიკით უზრუნველყოფა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და შპს მექანიზატორიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014- 2017 წლებში შესწავლილ იქნა ადგილობრივი საჭიროებები და დაიგეგმა მექანიზაციის ცენტრების აღჭურვა დამატებითი ტექნიკით (მ.შ. მცირეგაბარიტიანი ტექნიკით)	1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 5 ჰა-ზე გაშენებულია ჩაის სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ტარდება ჩაის აგროტექნიკური სამუშაოების განმახორციელებელი კომბინირებული აგრეგატის გამოცდა.

7.4. სადრენაჟო ქსელების სრული რეაბილიტაცია და მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, აუთვისებელი სავარგულების ათვისება და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია, აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა

შეფასება განხორციელდა 4 კრიტერიუმით, მ.შ. აუთვისებელი სავარგულების ათვისების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციის - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაციის - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით. აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა ფასდება საჯარო რეესტრიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე..

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში სადრენაჟო ქსელების რეაბილიტაციის მიმართულებით გატარდა ღონისძიებები	1

შპს. „საქართველოს მელიორაციამ“ გურიის მხარეში განახორციელა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო 12 გარდამავალი პროექტი.
რეაბილიტაცია/ექსპლუატაციის ფარგლებში გაიწმინდა/მოწესრიგდა 380 კმ სადრენაჟე არხი; შეკეთდა 244 ერთეული ჰიდროტექნიკური ნაგებობა. (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 5)

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში დაიგეგმა აუთვისებელი სავარგულების ათვისება და ხორციელდებოდა ღონისძიებები ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით	1

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, აუთვისებელი სავარგულების ათვისების საუკეთესო შესაძლებლობაა სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ და“ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა“ . საანგარიშო პერიოდში კონკრეტულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოხდა 200 ჰა აუთვისებელი ფართობის ათვისება.

ხოლო, როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნავს, ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ პროექტების/პროგრამების ფარგლებში, გურიის რეგიონში დაფინანსდა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების, როგორც გაშენების, ისე გადამუშავება/შენახვის პროექტები. აღნიშნული პროცესების განსახორციელებლად რიგ შემთხვევებში მოხდა აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება. ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გორაბერეჟოულში მდებარე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ- სადემონსტრაციო ნაკვეთზე პერიოდულად ტარდება ნიადაგის ნაყოფიერების კვლევა მისი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციები მოსამზადებლად.

7.5. სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში რეგიონში დაინერგა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემა	2

მიზანი 8: რეგიონის ბრენდის შექმნა

შეფასება განხორციელდა ამოცანების შესრულების 4 ხარისხობრივი კრიტერიუმით, მაქსიმალური ქულა იყო 6 (100%), მიღებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე მივიღეთ 2 ქულა (35%)

8.1. **საექსპორტო ბაზრებზე მომხმარებელთა რეგულარული ინფორმირება რეგიონში წარმოებული ხარისხიანი პროდუქტებისა და უნიკალური თვისებების შესახებ; რეგიონის ვებ გვერდების დახვეწა მის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით**

შეფასება განხორციელდა ორი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში წარმოებული ხარისხიანი პროდუციის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით დაიწყო რეგიონის ვებგვერდების განახლების სამუშაოები	1

მომზადდა ახალი საინფორმაციო ვებგვერდი www.guria.ge სადაც ტურისტული ხასიათის ინფორმაციასთან ერთად მოხდება ადგილობრივი ხარისხიანი პროდუქციის შესახებ რეკლამის განთავსება

8.2. რეგიონში წარმოებული პროდუქტის სლოგანისა და ლოგოტიპის დივერსიფიცირებული ვიზუალური და ვერბალური იდენტურობის ფორმირება; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ქსელური შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მოთხოვნილი ინფორმაციაა არ იქნა მოწოდებული	0

მიზანი 9: უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

შეფასება უზრუნველყოფილი იქნა მიზნის მიღწევის (შედეგების) 1 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 8 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 27 (100%). მიღებული ქულების რაოდენობაა 10 (37.5%)

მონაცემების აღება განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (ათასი აშშ დოლარი)	2017 (ათასი აშშ დოლარი)	ზრდა/კლება, %
რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ცვლილება	57,229.8	1,133.6	- 98



9.1. რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში შესაბამისი საინვესტიციო პროექტებისა თუ წინადადებების მომზადება უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიზნით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
გურიაში ინვესტირებით უცხოელი ინვესტორების დაინტერესების 2014- 2017 წლებში მომზადდა სპეციალური საინვესტიციო პასპორტები როგორც ცენტრალურ დონეზე, ასევე მუნიციპალიტეტებში	2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთოებების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი, სადაც ინვესტიციების, პროექტირების და სტრატეგიული დაგეგმარების განყოფილების მიერ შემუშავდა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების რეაბილიტაციის პროგრამები, კერძოდ, ჩაის, მეცხოველეობის მრავალწლიანი კულტურების თხილის, ციტრუსის, დაფნის და სხვა დარგების განვითარებისათვის, დარეგისტრირდა 60-მდე სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივი, შემუშავდა ბიზნეს-გეგმები განვითარებისათვის.

9.2. პოტენციურ უცხოურ ინვესტორებთან ურთიერთობის მიზნით, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა და გადამზადება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
უცხოურ ინვესტორებთან ურთიერთობის მიზნით კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვისა და გადამზადებისათვის 2014-2017 წლებში დაიგეგმა ღონისძიებები	1

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთოებების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის მიერ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პოტენციურ მეწარმეთა ინფორმირებისათვის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ საგრანტო კონკურსების შესახებ. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშრის სამეზობლო პროგრამა „საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებში 2014-2017 წლებში დარეგისტრირდა 45 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათგან 4-მა მიიღო ჯამში 253 ათასი ლარი დაბრუნებადი გრანტი, რომლითაც დაარსდა 1 ჩაის ფაბრიკა, 1 თხილის ფაბრიკა, 1 რძის გადამამუშავებელი ქარხანა, 1 სანერგე-სასათბურე მეურნეობა. მათმა ნაწილმა ისარგებლა სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი პროგრამებით გამოყოფილი გრანტებით.

9.3. უცხოელ და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა; მათ შორის, საინფორმაციო ბანკის მომზადება ადგილობრივი სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ჩატარდა მოსამზადებელი/დაგეგმვის სამუშაოები რეგიონის სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნის მიზნით	1

ცენტრის მიერ აღრიცხული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბიზნეს-სუბიექტები, შესწავლილი იქნა მათი პოტენციალი. მუნიციპალიტეტში მოწვეული იქნა უცხოური მეწარმეები ლანჩხუთთან დამეგობრებული ქალაქებიდან: უკრაინა, ლიტვა. რეგიონულ დონეზე განხორციელდა უცხოელი მეწარმეებისა და ფერმერების მოწვევა, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

9.4 მოქმედი და პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონსულტირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონების და სხვა საკითხებზე

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მოქმედ და პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს უტარდებოდათ ცალკეული კონსულტაციები რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონებისა და სხვა საკითხებზე	2

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ინტენსიურად მუშაობს უცხოელ ინვესტოტრებთან, ხდება მათი კონსულტირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური ფორმების, საწარმოების შექმნის შესაძლებლობების და სხვა საკითხებზე. 2016-2017 ბახმაროში, შვეიცარიელმა ინვესტორმა ინგო შლუტიუსმა უმასპინძლა ტურისტებს ზანთრის სეზონის განმავლობაში.
2017 წელს კომპანია „ოზურგეთ დენიმ“-სა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ხელი მოეწერა სამკერვალო ფაბრიკის გახსნას. სადაც „ზარა“-ს , „მანგო“- ს, „ბერშკა“-ს , „მასიმო დუტი“ -ს და სხვა ცნობილი ბრენდების ჯინსები შეიკერება. აღნიშნულ ინვესტიციას ახორციელებს თურქული კომპანია „Baykanlar“ -ი.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ უკრაინაში, ლიტვასა და ბელორუსიაში გამართულ საერთაშორისო-ეკონომიკურ ფორუმებში და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გამართულ ეკონომიკურ გამოფენებსა და საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც მიმდინარეობდა ორმხრივი დიალოგი ქართველ და უხოელ მეწარმეებსა და მუნიციპალურ სტრუქტურებს შორის.

9.5 ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების (უპირველესად ევროკავშირის ბაზარი) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, - შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში ადგილობრივი ნედლეულისა და პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის (შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით) მიზნით რეგიონში ხორციელდებოდა მიზანმიმართული აქტივობები	2

ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ეტაპობრივად მიმდინარეობს ღონისძიებები, 2018 წელს განხორციელდა თაფლის, ჩაისა და ჩირეულის პროდუქციის შეფუთვა, ასევე ადგილობრივი ფელამუშის წარმოება და შეფუთვა. ენპარდის გამარჯვებული კოოპერატივები რეგულარულად მონაწილეობდნენ საერთაშორისო და რეგიონულ ბიზნეს- ფორუმებში და გამოფენა- გაყიდვებში, რომელიც მიძღვნილი იყო, როგორც მეწარმეობის, ისე ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებისთვის.

9.6 სპეციალური ბიზნესფორუმების, პრეზენტაციების, მარკეტინგული ანალიზის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება-ორგანიზება, რეგიონის წარდგენა საერთაშორისო გამოფენაზე

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში რეგიონში ჩატარდა ერთული ღონისძიებები ჩამოთვლილთაგან: სპეციალური ბიზნეს-ფორუმები, პრეზენტაციები, მარკეტინგული ანალიზი, მიზნობრივი ტრენინგები, რეგიონის წარდგენა საერთაშორისო გამოფენაზე)	1

<u>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერები და სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ცალკეული ჯგუფები მონაწილეობდნენ სასოფლო-</u>
<u>სამეურნეო პროდუქციის და ტურიზმის განვითარების გამოფენა-გაყიდვებში საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით, მათმა წარმომადგენლებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგები</u>

9.7 რეგიონის ჭრილში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება და დამუშავება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქსტატიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ	0

9.8 რეგიონში ინვესტიციების მოზიდვაზე პასუხისმგებელი ქმედითი ინსტიტუციის შექმნა; ამ მიზნით, შესაბამისი საჯარო, კერძო და დონორული რესურსების ჩართვა; აღნიშნული ინსტიტუციის, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციის უზრუნველყოფა ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან და სხვა შესაბამის ცენტრალურ უწყებებთან

შეფასება განხორციელდა 1 კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში დაიგეგმა ღონისძიებები რეგიონის ჭრილში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოებისა და დამუშავებისათვის	1

<u>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთოებების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის მიერ მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია „რეგიონთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური განვითარებისთვის“, სადაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ბიზნეს წრეები, საერთაშრისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამუშავდა ბიზნეს-პროექტები, რომლებიც პერსპექტივაში ხელს შეუწყობს დასაქმებას და ეკონომიკურ ზრდას.</u>

მიზანი 10: კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგება

შეფასება განხორციელდა ამოცანების შესრულების 3 რაოდენობრივი და 7 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 30 (100%), მიღებული ქულების რაოდენობა -10 (34%)

10.1. მოსახლეობისთვის ცენტრალური სისტემებით ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდების, ხარისხიანი და უწყვეტი ენერგომომარაგების და ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდების სრული (გარდა განსაკუთრებით რთული უბნებისა) უზრუნველყოფა

შეფასებისთვის მონაცემების აღება განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
შინამეურნეობების უზრუნველყოფა ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემით, %				**0**
ელექტროენერგიით შინამეურნეობების უზრუნველყოფა, %	100	100	0	**0**
ბუნებრივი აირით შინამეურნეობების უზრუნველყოფა				**0**

10.2. მუნიციპალურ ცენტრებსა და საკურორტო დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
დაბებსა და საკურორტო დასახლებებში საკანალიზაციო სისტემები რეაბილიტირებულია 50%-ზე ნაკლები მომხმარებლისათვის	1

10.3. მუნიციპალიტეტებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ყველა დასახლებიდან ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების გაუქმება

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, ნარჩენების მართვის სახელმწიფო კომპანიიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
2014-2017 წლებში მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია მუნიციპალური ცენტრიდან, დაბებიდან და კურორტებიდან, ასევე, სხვა დასახლებებიდან, მაგრამ არა ყველა სოფლიდან, მიმდინარეობს „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის პროცესი	2

10.4. მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში ქუჩების რეგულარული დასუფთავების უზრუნველყოფა

შეფასება განხორციელდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში 2014-2017 წლებში ხდებოდა ყველა ქუჩის, მოედნისა და საზოგადოებრივი ადგილების რეგულარული დასუფთავება	3

10.5 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ნაგავსაყრელზე ნარჩენების გატანის, გადამუშავებისა და კომპოსტირების უზრუნველყოფა

